ბავშვის აღზრდა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

გზამკვლევი მშობლებისთვის სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა ონლაინ დაცვის შესახებ

www.coe.int/children

ევროპის მშენებლობა
ბავშვებისთვის და
ბავშვებთან ერთად

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ბავშვის აღზრდა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

გზამკვლევი მშობლებისთვის სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა ონლაინ დაცვის შესახებ

ტექსტი მომზადებულია სამართლის დოქტორის,
ელიზაბეტ მილოვიდოვის მიერ

აქ გამოთქული მოსაზრებები ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობაა და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

წინამდებარე დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლებასთან ან თარგმანთან დაკავშირებული ყველა თხოვნა მიმართული უნდა იყოს კომუნიკაციის დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი, Cedex ან publishing@coe.int).
ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია მიმართული უნდა იყოს გენერალურ დირექტორატთან დემოკრატიის საკითხებში.

ყდა და დიზაინი: ევროპის საბჭოს დოკუმენტების და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP)

ფოტოები: Shutterstock

© ევროპის საბჭო, ნოემბერი, 2017 წელი

© ევროპის საბჭო, ქართული ვერსია, 2018 წლის ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

შესავალი	5
1. ბავშვების დაცვა ონლაინ	7
2. ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ონლაინ (SEXTORTION - სექსის გამოძალვა სექსუალური შინაარსის მასალით შანტაჟის გზით)	11
3. ბავშვების ჩართულობით სექსუალური ხასიათის თვითწარმოებული გამოსახულებების და მასალების გაზიარება (SEXTING)	13
4. სექს-ჩატინგი (SEX-CHATTING - ინტერნეტით სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი)	15
5. გრუმინგი (GROOMING - კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზედაყოლიება)	17
6. სექსუალური შინაარსის გამოსახულებების შურისძიების მიზნით გამოყენება (REVENGE PORN - პორნოგრაფია შურისძიების მიზნით)	19

მადლიერების ნიშნად

ამ ბროშურის ტექსტი მომზადდა **დოქტორ ელიზაბეტ მილოვიდოვის** მიერ. დოქტორ მილოვიდოვი არის ინტერნეტ უსაფრთხოების კონსულტანტი, ბავშვთა უფლებების დამცველი და სამართლის პროფესორი 20 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილებით. მისი მისია მშობლებისა და ბავშვების გაძლიერებაა ინტერნეტზე, ტექნოლოგიებსა და სოციალური მედიის თემებზე, ის ასევე არის DigitalPateringCoach.com-ის დამაარსებელი.

მისი ვიდეო გაკვეთილები, რომელიც თან ახლავს ამ ბროშურას შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს YouTube-ის არხზე ბავშვთა უფლებების სიის ქვეშ, ან ბმულზე: www.coe.int/children.

შესავალი

ინტერნეტის, მობილური ტელეფონების და wi-fi-ის მეშვეობით დაკავშირებული მოწყობილობების ფართო გავრცელებასთან ერთად ბავშვებს და ახალგაზრდებს, პლატფორმებთან და მათ კონტენტთან წვდომა თითქმის ყველა ადგილიდან აქვთ, დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, თუკი ისინი ქსელში ჩართულები არიან.

უმეტეს შემთხვევებში, ინტერნეტ-კავშირი კარგ შესაძლებლობებს და სარგებელს იძლევა, რადგან ბავშვები ინტერნეტს თავიანთი საშინაო დავალებების შესასრულებლად, მეგობრებთან სასაუბროდ, სოციალური ქსელებისთვის, ფოტოების გასაზიარებლად, მუსიკალური ვიდეოების შესაქმნელად, ვიდეოების ასატვირთად, ინტერნეტ-თამაშების სათამაშოდ, ინტერნეტ-ჩატისთვის, ფაილების გაზიარების, საიტების გამოყენების და სხვა მიზნებისთვის იყენებენ.

მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ ბავშვები ონლაინ რისკების წინაშე დგანან. ეს შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის რისკი, მაგალითად, სექსუალური გამოსახულებების ნახვა, სექსუალური შინაარსის შეტყობინებების მიღება, პორნოგრაფიაში ჩართვის საფრთხე, სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის სამიზნედ გახდომა და სხვა.

ქვეყნებს, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბავშვების ონლაინ და ოფლაინ დაცვაში, ასევე მშობლების და მზრუნველების ინფორმირებაში ხელმისაწვდომი რესურსების და ციფრული გარემოს უსაფრთხო გამოყენების საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.

სახელმძღვანელოს მიზანია მშობლების და ბავშვზე მზრუნველი პირებისთვის ხუთი, თანამდეროვე სექსუალური ხასიათის ონლაინ საფრთხის დეტალურად გაცნობა, და ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით მშობლების და მზრუნველების ინფორმირება სათანადო რესურსების და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.

ბავშვების სექსუალურმა ექსპლუატაციამ და მათ მიმართ სექსუალურმა ძალადობამ შესაძლოა სერიოზული და ხშირად, გამოუსწორებელი შედეგები იქონიოს ბავშვებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მშობლებმა, პედაგოგებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ამ პრობლემას თავი კი არ აარიდონ, არამედ ისინი სააშკარაოზე გამოიტანონ და პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო გზებზე იმსჯელონ.

სახელმძღვანელო ექვსი ნაწილისგან შედგება:

- ბავშვების დაცვა ონლაინ
- ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ონლაინ (Sextortion - სექსის გამოძალვა სექსუალური შინაარსის მასალით შანტაჟის გზით)
- ბავშვების ჩართულობით სექსუალური ხასიათის თვითწარმოებული გამოსახულებების და მასალების გაზიარება (Sexting)
- სექს-ჩატინგი (Sex-Chatting - ინტერნეტით სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი)
- გრუმინგი (Grooming - კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება)
- სექსუალური შინაარსის გამოსახულებების შურისძიების მიზნით გამოყენება (Revenge Porn - პორნოგრაფია შურისძიების მიზნით)

ევროპის საბჭომ თითოეულ თემაზე ვიდეოები მოამზადა, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.coe.int/children.

1. ბავშვების დაცვა ონლაინ

მშობლები და მზრუნველები მუდმივად ახალი სირთულეების და პრობლემების წინაშე დგანან, რადგან ბავშვები და ახალგაზრდები სულ უფრო მეტად იყენებენ ინტერნეტს, ტექნოლოგიებს და სოციალურ მედიას.

ბავშვის აღზრდა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში არის:

- ღია ურთიერთობა ბავშვთან;
- ბავშვის ინტერნეტში აქტივობებით მუდმივად დაინტერესება;
- ინტერნეტში ბავშვის რეპუტაციის და ვინაობის აქტიურად დაცვა;
- ბავშვთან ერთად ინტერნეტის შესაძლებლობების გაცნობა;
- ბავშვის ინტერნეტით გამოწვეული შესაძლო საფრთხეებისგან დაცვა;
- თქვენი აღმზრდელობითი უნარების ინტერნეტ სამყაროში შემოტანა (დანერგვა).

ბავშვები და ახალგაზრდები იყენებენ სმარტფონებს, ტაბლეტებს, სათამაშო კონსოლებს, ციფრულ კამერებს და სხვა ჭკვიან მოწყობილობებს - ხშირად მშობლის მეთვალყურეობის ან მითითებების გარეშე. რა ასკისაც არ უნდა იყოს ბავშვი, ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის არსებობს.

8 წლამდე ასაკის ბავშვები არ შეიძლება ისევე აქტიურად იყვნენ ინტერნეტში ჩართულები, როგორც მათზე უფროსი ასაკის ბავშვები. მიუხედავად ამისა, მშობლები მაინც ყურადღებით უნდა იყვნენ ეკრანის გამოსახულებასთან, ასევე შესაბამის ვებ-გვერდებთან და თამაშებთან მიმართებაში.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - 8 წლამდე ასაკის ბავშვები

- დაუჯექით ბავშვს ინტერნეტით სარგებლობის დროს, რომ ერთად ისწავლოთ და იმსჯელოთ.
- კომპიუტერში (firewall), ანტივირუსული და (anti-spyware) პროგრამების უახლესი ვერსიები იქონიეთ.
- თუ მშობლის კონტროლის და ფილტრის პროგრამულ უზრუნველყოფას აირჩევთ, პარამეტრები მაქსიმუმამდე გაზარდეთ.
- დარწმუნდით, რომ კონფიდენციალურობის პარამეტრები ყველა იმ მოწყობილობაზე გაქვთ, რომელსაც ბავშვი იყენებს.

9-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები ინტერნეტის შესწავლაში არიან დაინტერესებული, და ამ ასაკში მშობლის მითითებები ყველაზე უკეთ მიიღება; მშობლებს წინასწარ შეუძლიათ მიიღონ ზომები, რომ ბავშვებმა, მათთან მუდმივი კომუნიკაციით ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნოლოგიები უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით გამოყენონ.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - 9-დან 12 წლ~ამდე ასაკის ბავშვები

- ბავშვს ინტერნეტის გამოყენება არ აუკრძალოთ, რადგან ის ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებს ინტერნეტში შესვლას, და თქვენ არ გეცოდინებათ ამის შესახებ, რაც მეტ რისკს შეიცავს.

- ბავშვთან ერთად განიხილეთ, რას აკეთებს ის ინტერნეტში, რომელ ვებ-გვერდებზე შედის, ვის ესაუბრება და როდის არის ინტერნეტში.
- ასწავლეთ მათ პირადი ცხოვრების დაცვა ონლაინ, რომ თავიანთი ვინაობის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არასდროს გააზიარონ.
- აჩვენეთ, როგორც დაბლოკონ ადამიანები და გააგზავნონ მათზე საჩივარი.
- მოიპოვეთ მათი ნდობა იმისათვის, რომ თუკი რამე მოხდება, ბავშვმა თქვენ მოგმართოთ.

13-დან 17 წლამდე ბავშვები უფრო მეტი ინტერნეტ პრობლემის წინაშე დგანან, რადგან გაცილებით ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით და მეტი რისკიც ექმნებათ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მშობლის მითითებები და დახმარება ძალიან ეფექტური იქნება ბავშვის ონლაინ სივრცეში დაცვისათვის.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - 13-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები

- ხელი შეუწყვეთ თქვენს თინეიჯერ შვილს, რომ თქვენთან ნებისმიერ ოფლაინ და ონლაინ პრობლემაზე ისაუბროს.
- თქვენს თინეიჯერ შვილთან ოჯახში მედია საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით შეთანხმება დადეთ, რაც სიმშვიდეს და ტექნოლოგიის სწორად გამოყენებას უზრუნველყოფს. შეთანხმებაში ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით თქვენი მოლოდინები განსაზღვრეთ.
- ყურადღება მიაქციეთ, როგორ ურთიერთქმედებს თქვენი თინეიჯერი შვილი ტექნოლოგიასთან – ის აღელვებულია, ბრაზობს, გაღიზიანებული ან ჩაკეტილია? იყავით მზად, რომ მას თქვენი ჩარევით დაეხმაროთ. თუ მის ქცევაში რაიმე ცვლილებებს შენიშნავთ, დაელაპარაკეთ თქვენს მოზარდ შვილს და ბოლოს, დახმარებისთვის სხვა მშობლებს, სკოლას ან ჯანდაცვის სპეციალისტებს მიმართეთ.

სამწუხაროდ, ციფრული ტექნოლოგიების პირობებში ბავშვის აღზრდის პროცესში პრობლემის სწრაფი გადაჭრის გზები არ არსებობს, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ თუ ბავშვს სირთულეების დაძლევის და პრობლემებთან გამკლავების უნარი გააჩნია, ის უკეთესად შესძლებს ინტერნეტით გამოწვეული რისკების გადაჭრას.

მშობლებისთვის, პედაგოგებისთვის და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის დღესდღეობით რთულია ბავშვების ონლაინ დაცვის და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში აღზრდის შესახებ საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს დახმარების ხაზები (helpline) და ცხელი ხაზები (hotline), სადაც მშობლებს კითხვების დასმა, მიმდინარე პრობლემებზე ვებ-გვერდების დათვალიერება, ან მშობლის სახელმძღვანელოს წასაკითხად ჩამოტვირთვა შეუძლიათ. ზოგადად, ცხელ ხაზზე კონსულტანტები მუშაობენ მშობლებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და ბავშვებთან - ნებისმიერ მსურველთან, ინტერნეტთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში – დახმარების ხაზები (helplines) და ცხელი ხაზები (hotlines)

- ბევრ ქვეყნებში დახმარების ხაზი და ცხელი ხაზი არსებობს, რომელთა სია მოცემულია (European Schoolnet)-ის ან (INHOPE)-ის ვებ-გვერდზე (Better Internet for Kids).
- თუ თქვენი ქვეყანა ამ ჩამონათვალში არ არის, ადგილობრივ ენაზე საძიებო სიტყვებით „ონლაინ უსაფრთხოება“ ან „ინტერნეტ უსაფრთხოება“ შეგიძლიათ ინტერნეტში მოიძიოთ ეს ინფორმაცია.
- შეგიძლიათ ასევე თქვენს ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერს (ISP) მიმართოთ როგორც ქვეყანაში არსებული, ასევე ISP-ის მიერ მიწოდებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ.



2. ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ონლაინ (SEXTORTION - სექსის გამოძალვა სექსუალური შინაარსის მასალით შანტაჟის გზით)

ტერმინი (sextortion) ბავშვთა დაცვის სფეროში ფართოდ განიხილება, რადგან ტერმინი ნათლად არ მიუთითებს, რომ ეს არის სექსუალური ექსპლუატაცია. ევროპის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ტერმინი - სექსუალური იძულება და გამოძალვაა.

სექსუალური იძულება და გამოძალვა: დამნაშავე აშანტაჟებს ბავშვს საკუთარი, თვითწარმოებული სექსუალური ხასიათის გამოსახულებების მეშვეობით, მისგან სექსუალური მომსახურების, ფულის ან სხვა სარგებელის იძულებით მიღების მიზნით. დამნაშავე ამ გამოსახულებების სოციალურ მედიაში გამოქვეყნებით, ან ბავშვს მისი ოჯახისთვის და მეგობრებისთვის გაგზავნით ემუქრება.

მსხვერპლი ბავშვები 7 წლის ასაკშიც ხდებიან ონლაინ სამიზნეები, რა დროსაც დამნაშავეებს ორი ძირითადი მოტივაცია ამოძრავებთ:

- ეკონომიკური ინტერესი, როდესაც დამნაშავეს ფულის მიღება გამოძალვის გზით უნდა, ან
- სექსუალური ინტერესი ბავშვების მიმართ, როდესაც დამნაშავეს სექსუალური ხასიათის მასალის შეძენა სურს (მაგ.: ბავშვის ფოტოები და/ან ვიდეოები), ან უფრო მეტი: დამნაშავეს რეალურ ცხოვრებაში (offline) სურს ბავშვთან შეხვედრები.

ევროპოლის ანგარიში (Europol report), „სექსუალური იძულება და გამოძალვა კომპიუტერული ქსელების გამოყენებით არის დანაშაული“. ანგარიში ამჟამად მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი, თუმცა კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეო რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი.

კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ბავშვების სექსუალურ იძულებას და გამოძალვას ასევე „ვებ-კამერით შანტაჟს“ უწოდებენ. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ბავშვების შანტაჟის შემთხვევები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბოლო წლების განმავლობაში სწრაფად გაიზარდა, თუმცა მსგავსი შემთხვევების დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული ახალგაზრდა მსხვერპლების მხრიდან დაბნეულობის ან არასათანადოდ ინფორმირებულობის გამო.

თუ თქვენს ბავშვს ვინმე სექსუალური ხასიათის ფოტოების ან ვიდეოების გაზიარებით ემუქრება, თუკი თქვენს ბავშვს მისთვის უფრო მეტი ფოტოს/ვიდეოს გაგზავნა ან ფულის გადახდა არ დაუწყია: არ გადაუხადოთ დამნაშავეს ფული და ნუ მოგერიდებათ პოლიციისთვის აღნიშნულის შესახებ შეტყობინება.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში – რა უნდა გააკეთო, თუ თქვენი ბავშვი სექსუალური იძულების ან გამოძალვის მსხვერპლია

- მეტი აღარ გააზიაროთ. არაფერი გადაიხადოთ.
- მიმართეთ დახმარებისთვის. თქვენ მარტო არ ხართ.
- შეინახეთ მტკიცებულება. კომპიუტერის ეკრანს გადაუღეთ ფოტო (ე.წ. (screenshot)-ი). არაფერი წაშალოთ.
- შეწყვიტეთ კომუნიკაცია. დაბლოკეთ პიროვნება.
- აღნიშნულის შესახებ ადგილობრივ პოლიციას შეატყობინეთ.

3. ბავშვების ჩართულობით სექსუალური ხასიათის თვითწარმოებული გამოსახულებების და მასალების გაზიარება (SEXTING)

ბავშვებს და ახალგაზრდებს ყოველთვის უწევდათ ისეთ პრობლემებთან შეჯახება, როგორიცაა მეგობრების შეძენა, მეგობრობის შენარჩუნება და პირველი რომანტიული ურთიერთობების ქონა. თუმცა, ინტერნეტის, ტექნოლოგიების და სოციალური მედიის ყოველდღიურობაში შემოტანით, ასაკთან დაკავშირებული მარტივი საკითხები უამრავ სირთულედ გადაიქცა, რადგან ბავშვები და ახალგაზრდები სექსუალური ხასიათის გამოსახულებებს და შეტყობინებებს აზიარებენ და აგზავნიან.

(Sexting) არის სექსუალური ხასიათის შეტყობინებების (სიტყვები, ფოტოები, ვიდეოები, გამოსახულებები, სხვ.) გაგზავნა და მიღება მობილური ტელეფონის, ტაბლეტების, ლეპტოპების ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, რაც მასალის და შეტყობინებების გაზიარების საშუალებას იძლევა.

ევროპის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა და ანგარიშებმა აჩვენა, რომ ბავშვები აგზავნიან და იღებენ სექსუალურ გამოსახულებებს, ამასთან, ბავშვები უფრო თამამები და გახსნილები ხდებიან, და ხშირად თანამონაწილეებიც, საკუთარი, თვითწარმოებული სექსუალური ხასიათის გამოსახულებების თვალსაზრისით.

- ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ (sexting) - ი უვნებელი ქმედებაა, ან პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ამას ყველა აკეთებს, მაგრამ რეალობა მკაცრია: ასეთი გამოსახულებების გაკეთება, გაზიარება ან მიღება ბავშვის თვითშეფასებაზე უარყოფით გავლენას ახდენს, ემოციურ სტრესს და მათ გულისტკენას იწვევს.

- (Sexting) - ი მშობლების და ბავშვთა დაცვის ექსპერტებისთვის გამოწვევაა. რადგან, ერთის მხრივ, საკითხი ეხება შინაარსს, რომელიც მოზარდებს შორის ურთიერთობის კონტექსტში, მათი თანხმობით იქმნება და მეორეს მხრივ, არის მასალა პატარა ასაკის ბავშვების მონაწილეობით.

- ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც კი ბავშვი საკუთარ გამოსახულებას გამოაქვეყნებს ან გააგზავნის, ის სამუდამოდ კარგავს მათზე კონტროლს. ამის შემდეგ, ბავშვი შესაძლოა შანტაჟის, ბულინგის, სექსუალური იძულების და გამოძალვის, სექსუალური მიზნებისთვის დაყოლიების (grooming) ან სხვა მანიპულირების მსხვერპლი გახდეს.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში – როგორ მოიქცეთ ბავშვთან რისკების შესამცირებლად

- თუ ბავშვს მობილურს, ტაბლეტს ან სმარტფონს მისცემთ, მას თქვენი წესები და მოლოდინები აუხსენით. ბავშვს განუმარტეთ, როგორ უნდა გამოიყენოს მან ეს მოწყობილობები პასუხისმგებლობით.
- შეთანხმდით, რისი გამოქვეყნება და გაგზავნაა დასაშვები.
- უფროსი ასაკის ბავშვებთან რეალური ცხოვრებიდან იმ მაგალითების მოყვანა შეიძლება, რომლებიც სექსუალური გამოსახულების შემცველი შეტყობინებების გაგზავნა-მიღებასთან (sexting) დაკავშირებულ რისკებს, საფრთხეებს და სამართლებრივ საკითხებს ასახავს.
- თუ გინდათ, რომ თქვენი შვილი გენდობოდეთ და გაგიზიაროთ ის რაც მას უსიამოვნებას გვრის ან აშინებს, ან მის მიერ ჩადენილ შეცდომებზე მოგიყვეთ, მზად უნდა იყოთ მოსმენისა და მხარდაჭერისთვის.
- თუ გაიგებთ, რომ თქვენმა ბავშვმა სექსუალური ხასიათის შეტყობინებები გააგზავნა, ეს მომენტი მასთან სექსის შესახებ სალაპარაკოდ გამოიყენეთ, გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები და ღირებულებები და მას მომავალში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარეთ.

4. სექს-ჩატინგი (SEX-CHATTING - ინტერნეტით სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი)

სექს-ჩატინგი - ინტერნეტით სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი არის სექსუალური გამოსახულების ან მასალის ბავშვს და ზრდასრულ ადამიანს შორის გაზიარება. სექს-ჩატინგი ასევე შეიძლება გრუმინგის - ბავშვის სექსუალური მიზნებისთვის დაყოლიების ან/და ბავშვთა პორნოგრაფიის და/ან სექსუალური იძულების საფუძვლად იქცეს.

კვლევებმა აჩვენა, რომ დამნაშავეები თავიანთ მსხვერპლებს ძალიან სწრაფად ირჩევენ, რადგან ონლაინ-ჩატი სწრაფადვე იძენს სექსულურ ხასიათს. (European Online Grooming Project)-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ონლაინ-პედოფილებს ჩატის დაწყებიდან 2 წუთში ბავშვებთან უკვე სექსუალური ხასიათის საუბრები აქვთ. დამნაშავეები სოციალური ქსელების საიტებს, სათამაშო პლატფორმებს და ნებისმიერ ფორუმს იყენებენ, სადაც ბავშვები ონლაინ იკრიბებიან და საუბრობენ.

ამ ტიპის სექსუალური ექსპლუატაცია მარტივი ჩატით იწყება. ბავშვები შეიძლება მათი გამოსახულებების გაგზავნაზე, ვებ-კამერის მეშვეობით სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობაზე დაიყოლიონ, ან ტექსტური შეტყობინებებით ან ინტერნეტით მათთან სექსუალური შინაარსის საუბრები ჰქონდეთ.

ჩატის დაწყების შემდეგ დამნაშავე ყველანაირად შეეცდება ბავშვის გაკონტროლებას, ის შეიძლება დაემუქროს, რომ მასალას ბავშვის მეგობრებს და ოჯახის წევრებს გაუგზავნის, თუ ბავშვი იმის კეთებას არ გააგრძელებს, რასაც დამნაშავე სთხოვს.

ფაქტები სექს-ჩატინგის შესახებ

- ახალგაზრდებს ონლაინ სექს-ჩატის დამნაშავეების შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენა აქვთ და ფიქრობენ, რომ ისინი მოხუცი, ჭარბწონიანი მამაკაცები არიან.
- ონლაინ სექს-ჩატის დამნაშავე შეიძლება ნებისმიერი ასაკის პირი იყოს.
- ონლაინ სექს-ჩატის დამნაშავეს, ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად, თავისი ვინაობის შეცვლა შეუძლია.
- ონლაინ სექს-ჩატის დამნაშავე ბავშვთან ურთიერთობას სექსუალურ ხასიათს აძლევს.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - როგორ მოიქცეთ ბავშვთან რისკების შესამცირებლად

- დარწმუნდით, რომ თქვენი ბავშვი უცნობ ადამიანებს სოციალურ ქსელში „მეგობრებში“ არ იმატებს და პიროვნულ მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას არ აზიარებს.
- ყურადღება მიაქციეთ თქვენი ბავშვის ტექნიკასთან ურთიერთქმედებას: ოთახში თქვენი შესვლისას მისი ქცევა იცვლება? ეკრანზე გამოსახულებას ხომ არ ცვლის ან კომპიუტერს სწრაფად თიშავს?
- კონფიდენციალურობის უმაღლესი პარამეტრები დააყენეთ ყველა იმ მოწყობილობაზე და პლატფორმაზე, რომელსაც ბავშვი იყენებს. ეს პარამეტრები რეგულარულად შეამოწმეთ, რადგან ისინი შეიძლება გადაყენდეს პლატფორმების სისტემური განახლებების ან მომსახურების პირობების შეცვლის დროს.
- თქვენს ბავშვს ასწავლეთ, რომ ინფორმაციის განთავსებამდე ან გაზიარებამდე კარგად დაფიქრდეს. ახალ ტექნოლოგიებთან, ინტერნეტთან და სოციალურ მედიასთან მუშაობის დროს მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნება. ავტომატურად გაზიარების, ან დაწკაპუნების ნაცვლად, ბავშვებს და ახალგაზრდებს დაყოვნება და დაფიქრება სჭირდებათ.
- დარწმუნდით, რომ თქვენმა ბავშვმა იცის, რომ ყოველთვის შეუძლია თქვენთან მოსვლა და ლაპარაკი იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება.

5. გრუმინგი (GROOMING - კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება)

ბევრი ბოროტმოქმედი მუდმივად ინტერნეტშია, რადგან კიბერსივრცეში მსხვერპლი ბავშვების მოძებნა ადვილია, ამიტომ ეს სექცია სოციალურ მედიაში, ჩატში, სათამაშო სისტემებსა და სხვა ონლაინ პლატფორმებზე ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას და მათზე ძალადობას დაეთმობა.

დამნაშავეები, რომლებიც ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას მიმართავენ, ბავშვებთან ურთიერთობას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით, მათი სექსუალური მიზნებისთვის წაქეზებით იწყებენ, რისთვისაც ნდობის მოსაპოვებლად ემოციურ კავშირს ამყარებენ.

ონლაინ სექსუალური დამნაშავეები თავიანთ ნამდვილ განზრახვას მალავენ და ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად დიდ დროს ხარჯავენ, თუმცა როგორც (European Online Grooming Project)-ის კვლევაში ჩანს, ონლაინ გრუმინგი უფრო სწრაფად ხდება.

- დამნაშავეები ბავშვთან თავს ხშირად თანატოლად წარმოაჩენენ. ისინი იმ ონლაინ-ჩატს ან სათამაშო სისტემებს იყენებენ, რომლებიც ბავშვების და ახალგაზრდების ინტერესებზეა ორიენტირებული. მათ შეუძლიათ მხარდამჭერი მეგობრის როლი შეასრულონ, ან საჩუქრები უყიდონ, ან თავიანთი მსხვერპლის იზოლირებისთვის პირფერობას მიმართონ.

- დაყოლიებაზე ორიენტირებული დამნაშავეები თავიანთი ახალგაზრდა მსხვერპლების სექსუალურ ექსპლუატაციას ცდილობენ. ამისთვის, დამნაშავეებმა შესაძლოა ისინი ონლაინ სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობაზე დაიყოლიონ. შესაძლოა ბავშვების სექსუალურ საუბრებში ჩართვას შეეცადონ, ან ბავშვებს მათი სურათების ან ვიდეოების გაგზავნა სთხოვონ.

- დაყოლიებაზე ორიენტირებულმა დამნაშავეებმა ბავშვს შესაძლოა რეალურ სამყაროში შეხვედრა სთხოვონ, და ამით ბავშვი სექსუალური ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდეს.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში – როგორ მოიქცეთ ბავშვთან ერთად რისკების შესამცირებლად

- S - SAFE - უსაფრთხო - სიფრთხილე გამოიჩინეთ და პირადი ინფორმაციის გაცემას მოერიდეთ.
- M – MEETING - შეხვედრა - თუ მხოლოდ ინტერნეტით გაქვთ ადამიანთან ურთიერთობა, ეს შეიძლება საშიში იყოს.
- A – ACCEPTING - ელ-ფოსტის და სწრაფი შეტყობინებების მიღება, უცნობი ადამიანებისგან ან ვისაც არ ენდობით - ასეთი პირებისგან გამოგზავნილი ფაილების გახსნა შეიძლება საშიში იყოს.
- R – RELIABLE - სანდო - ინტერნეტში ადამიანები შეიძლება თავიანთი ვინაობის შესახებ ტყუოდნენ.
- T – TELL - თქვენს მშობელს, მეურვეს ან თქვენთვის სანდო ზრდასრულ ადამიანს უთხარით, თუ ვინმე გავიწროებთ, ან რამე გაწუხებთ.

SMART წესები, Childnet

ისევე როგორც სექსუალური ხასიათის შეტყობინებების მიღება-გაგზავნის (sexting) შემთხვევაში, მშობლებმა უნდა იცოდნენ, მათი ბავშვი ტექნიკასთან როგორ ურთიერთქმედებს: ისინი ფარულად ელაპარაკებიან ვინმეს, ან ეკრანზე გამოსახულებებს ცვლიან/გადართავენ? ისინი თქვენთვის მოულოდნელ სექსუალურ ტერმინოლოგიას იყენებენ? მათ ახალი საჩუქრები და კომპიუტერული მოწყობილობები აქვთ, რომლებიც თქვენ არ მიგიციათ მათთვის?

შედარებით უფროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში, მშობლები ასევე უნდა დარწმუნდნენ მათი შვილების ინფორმირებულობაში, რომ დაყოლიებაზე ორიენტირებულ პირებს შეუძლიათ სოციალური მედია-საიტების, სწრაფი შეტყობინების აპლიკაციების, მათ შორის (teen dating) აპლიკაციების (გაცნობის აპლიკაციები თინეიჯერებისთვის) ან ონლაინ თამაშების პლატფორმების გამოყენება.

6. სექსუალური შინაარსის გამოსახულებების შურისძიების მიზნით გამოყენება (REVENGE PORN - პორნოგრაფია შურისძიების მიზნით)

სოციალური მედია ადამიანებს ინფორმაციის, იდეების, ფოტოების შექმნის და გამოხატვის სხვა ფორმების გაზიარების საშუალებას აძლევს, თუმცა სოციალური მედია და ინტერნეტ ტექნოლოგიები შეიძლება ასევე სექსუალური შევიწროების ან სხვების შანტაჟისთვის იქნეს გამოყენებული.

სექსუალური გამოსახულებების შეთანხმების გარეშე გამ-ჟღავნება, ან როგორც ამას არაფორმალურად უწოდებენ „პორნოგრაფია შურისძიების მიზნით“ მოიცავს თვითწარ-მოებულ გამოსახულებებს და მასალებს (ძირითადად, ინტი-მური ან სექსუალური ხასიათის), რომლებსაც სხვა ადამიანს, მასთან პირადი ურთიერთობების ფარგლებში უზიარებ. ხოლო, ურთიერთობის დასრულების შემდეგ ამ გამოსახულებების სხვებისთვის გაზიარება ხდება.

მაგალითად, გერმანიას, საფრანგეთს, მალტას და დიდ ბრიტანეთს მიღებული აქვთ კანონი, რომელიც დასჯად ქმედებად აცხადებს გამოსახულებების და მასალის გაზიარებას მათში მონაწილე პირების ნებართვის გარეშე. დიდ ბრიტანეთში შეიქმნა პირველი „დახმარების ხაზი - პორნოგრაფია შურისძიების მიზნისთვის“ (Revenge Porn Helpline), რომელიც ადამიანებს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს, როგორ წაშალონ სურათები ინტერნეტში.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნო-ლოგიების ეპოქაში - რა უნდა გააკეთოთ, თუ თქვენი ბავშვი სხვა ბავშვის სექსუალური ხასიათის გამოსახულებებს მიიღე-ბს?

- უთხარით თქვენს შვილს, რომ გამოსახულება არ გააზიაროს. არ გააზიაროთ გამოსახულება ინტერნეტით ან ოფლაინ.
- (Google)-ს ამ (Microsoft)-ს შურისძიების მიზნით პორნოგრაფიის ბმულების წაშლა სთხოვეთ.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - რა უნდა გააკეთოთ, თუ თქვენმა შვილმა სექსუალური ხასიათის საკუთარი გამოსახულებები ან ვიდეოები შექმნა და მან შეიტყო, რომ ისინი ინტერნეტში გაზიარეს?

- არ დაადანაშაულოთ თქვენი შვილი ასეთი გამოსახულების გადაღებისთვის, არამედ მას სტრესულ და უხერხულ მდგომარეობაში დაეხმარეთ. გახსოვდეთ, რომ ისინი თავს მოტყუებულად გრძნობენ.
- ონლაინ მასალას ე.წ. (screenshot) - ი გადაუღეთ და ვებ-გვერდის მისამართთან ერთად მტკიცებულების სახით შეინახეთ.
- აღნიშნული შინაარსის შესახებ სოციალურ მედია-პლატფორმებს და სამართალდამცავ ორგანოებს შეატყობინეთ.

აღზრდასთან დაკავშირებული რჩევები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში - რა უნდა უთხრათ ბავშვს, რომ ის შურისძიების პორნოგრაფიის მსხვერპლი არ გახდეს?

- თქვენს შვილს უთხარით, რომ თავისი მეგობარი ბიჭისთვის/გოგოსთვის - ან ვინმესთვის სექსუალური ხასიათის ფოტოები ან ვიდეოები არასდროს გადაიღოს.
- თუ მეგობარი ბიჭი ან გოგო თქვენს შვილს ფოტოს გადაუღებს, თქვენმა შვილმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს მისი წაშლა. უთხარით თქვენს შვილს, რომ ის უნდა დარწმუნდეს, რომ გამოსახულება წაშლილია.

რაც შეეხება ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციას და ძალადობას, მშობლებისთვის და მზრუნველებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვთან დაპირისპირების გარეშე საუბრების დაწყება.

თქვენი შენიშვნები

ბავშვის აღზრდა 21-ე საუკუნეში უმეტესად სირთულეებთან არის დაკავშირებული. თანამედროვე ბავშვები სწრაფად ცვალებადი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში იზრდებიან, ეს ახალი სამყაროა, რისთვისაც მშობლები სათანადოდ მზად არ არიან ან ცდილობენ, რომ ცვლილებებს არ ჩამორჩნენ.

ეს ბროშურა, რომელიც ექვს ვიდეო გაკვეთილთან (www.coe.int/children) ერთად შეგიძლიათ წაიკითხოთ, მშობლებისთვის და მზრუნველებისთვის ბავშვთა ონლაინ დაცვის შესახებ სასარგებლო ინსტრუმენტების და რჩევების გაცნობას ისახავს მიზნად.

სასწავლო მასალაში, სპეციალისტი ციფრულ ეპოქაში აღზრდის საკითხებზე, დოქტორი ელიზაბეტ მილოვიდოვი პრაქტიკულ რჩევებს იძლევა განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხებზე, რაც სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვების ონლაინ დაცვას ეხება, განმარტავს ტერმინოლოგიას და მშობლებს სწორ რეკომენდაციებს აძლევს, თუ რას გაუფრთხილდნენ და როგორ მართონ სირთულეები და თავიდან აიცილონ ისინი. დამხმარე მასალაში ექვსი თემაა მოცემული: მშობლების ინფორმირება ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში; ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ონლაინ (Sextortion); სექსუალური ხასიათის გამოსახულებების და მასალების გაზიარება (Sexting); ინტერნეტით სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი (Sex-Chatting); კომპიუტერული ქსელების გამოყენებით ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება (Grooming), და სექსუალური შინაარსის გამოსახულებების შურისძიების მიზნით გამოყენება (Revenge Porn).

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE